



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 26 ივნისი

**დისციპლინური საქმე №144-18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- 2018 წლის 21 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 31 ივლისის №1687/144-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2018 წლის 21 მაისის №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 31 ივლისის №1688/144-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 7 სექტემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე --- გამოიყენა ის ნორმა, რომელიც მას არ ჰქონდა მითითებული. ასევე, პროცესზე დაიკითხა საქმის პროფესიულ დონეზე მცოდნე პიროვნება --- არქიტექტორი, რომლის ჩვენებაზეც არ იმსჯელა მოსამართლემ შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში, რითაც მოსამართლემ გადამალა მტკიცებულება. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მოსამართლის ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

--- 2015 წლის 04 ნოემბერს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ---, მოპასუხეების ---, --- და --- მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ახალი სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების, მატერიალური და მორალური ზიანის, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით.

2016 წლის 15 ივლისს გამართულ სასამართლო მთავარ სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულ იქნა ---.

--- სასამართლოს --- მოსამართლის --- 2016 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილებით, --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ სასამართლო შემაჯამებელ დასკვნამდე მივიდა საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასებით.

მოწმე -- -- მიერ მიცემული ჩვენების მტკიცებულებად დაუშვებლობის შესახებ საქმის მასალებში რაიმე დოკუმენტი არ იძებნება.

--- 2016 წლის 29 აგვისტოს სააკველიაციო წესით გაასაჩივრა -- -- სასამართლოს -- -- 2016 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილება.

--- 2016 წლის 08 აგვისტოს განცხადება-შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს -- -- და მოითხოვა საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა გადაწყვეტილი და გაწერილი მისი სარჩელის ოთხივე მოთხოვნა ინდივიდუალურად.

--- სასამართლოს -- -- 2016 წლის 02 სექტემბრის განჩინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით განსზღვრული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის არც ერთი სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, არ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური დასაშვებობა, რის გამოც -- -- განცხადება (შუამდგომლობა) არ დაკმაყოფილდა.

-- 2016 წლის 19 სექტემბერს კერძო საჩივარი შეიტანა -- -- სასამართლოს -- -- 2016 წლის 02 სექტემბრის განჩინებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქმის მასალების მიხედვით, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -
- -- მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა -- -- სარჩელი, რასაც საჩივრის ავტორი
მიიჩნევს უკანონოდ და დაუსაბუთებლად.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზით, მოსამართლის გადაწყვეტილება წარმოადგენს
სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის შეფასებაც
დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია, ისევე როგორც დისციპლინური
მსჯელობის საგანი ვერ გახდება მოსამართლის მიერ კონკრეტული მტკიცებულების (მათ შორის,
მოწმის (სპეციალისტის) ჩვენება) გაზიარება/დაშვება/არდაშვების საკითხი, რაც წარმოადგენს
კანონიერების სფეროს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ
გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰
მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია
მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის
ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების
თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16
გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს
კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის
მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს
კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის
უფლებამოსილება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა
გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).
დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს
მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან
დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას,
რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 07
სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 21 მაისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის
წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს
მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹
მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის
„დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი
ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური
სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის
კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 21 მაისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი